დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს
ტელ. : 2 409 477; 2 409 577
მობ: 577 10 99 88; 577 13 90 00
pr@gpb.ge , info@gpb.ge

საზოგადოებრივი მაუწყებლის
განცხადება
წინასაარჩევნო ტელედებატებთან დაკავშირებით

საზოგადოებრივი მაუწყებელი განუხრელად ასრულებს საქართველოს საარჩევნო კოდექსისა და მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების საფუძველზე და თავისუფალ, დემოკრატიულ საარჩევნო პროცესში საზოგადოებისათვის ინფორმირებული არჩევანის საშუალების მისაცემად საზოგადოებრივი მაუწყებელის ეთერში, 18 სექტემბერს, *20:00* საათზე გაიმართება ტელედებატები კვალიფიციური სუბიექტების, საარჩევნო სიის პირველი ნომრების, აუცილებელი მონაწილეობით.

- დებატებში მონაწილეებს შორის წილისყრა ტარდება დებატებამდე 1 საათით ადრე მაუწყებლის შენობაში.

- დებატების ორგანიზებაში მაუწყებლის პარტნიორთან, საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდთან შეთანხმებით (*IFES*) შენობაში ჟურნალისტები არ დაიშვებიან, რათა მონაწილეებისათვის დებატების წინ უზრუნველყოფილი იყოს მშვიდი, საქმიანი გარემო.

- წილისყრის პროცედურას პირდაპირ ეთერში საზოგადოებრივი მაუწყებელი გადასცემს. ამის გარდა, მაუწყებელი წილისყრის პროცედურის ტრანსლაციას გადასცემს გახსნილი სატელიტური სიგნალითაც. სიგნალის პარამეტრებს მაუწყებელი წინასწარ აცნობებს დაინტერესებულ ტელეკომპანიებს, რათა მათ შეძლონ სიგნალის დროულად მიღება მაუწყებლის ლოგოს გარეშე.

- დებატები ტრანსლირებული იქნება მაუწყებლის საიტზე – *http://1tv.ge/* და ფეისბუქის მაუწყებლის გვერდზე: *https://www.facebook.com/1stchannel*

- დებატებით დაინტერესებულ ჟურნალისტებს საზოგადოებრივი მაუწყებელი სთავაზობს მაუწყებლის ტერიტორიაზე შემოსვლა დაიწყონ 19:30 საათიდან და განთავსდნენ მაუწყებლის მეორე კორპუსში „პრაიმ ტაიმის" ოფისში, სადაც მათ საშუალება ექნებათ პირდაპირ ეთერში ადევნონ თვალი დებატების მიმდინარეობას.

- გადაცემის დასრულების შემდეგ დებატების იმ მონაწილეებს, რომლებიც მედიასთან დებატების შედეგების კომენტირების სურვილს გამოთქვამენ, შესაძლებლობა მიეცემათ „პრაიმ ტაიმის" ოფისში გააკეთონ მათთვის სასურველი კომენტარები.

- დებატების ორგანიზებაში, ისევე როგორც *2010* წლის ადგილობრივი არჩევნების პერიოდში, ჩართულია ამერიკის განვითარების საერთაშორისო სააგენტო *(USAID)* და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი *(IFES).*დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: pr@gpb.ge ; info@gpb.ge;